1

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 19.09.914

„ 2 „ ივლისი 2010 წ.

ქ. თბილისი

№05
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"09" 07 2010 წ.
№ 040.030.000.37.101.000.082

„ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N08.32.412 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N08.32.412 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს წესდებაში (დებულებაში) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე–6 მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) პრივატიზების სამსახური;

ბ) საწარმოთა მართვის სამსახური;

გ) უზრუნველყოფის სამსახური;

დ) ადმინისტრაციული სამსახური."

ბ) მე–7 მუხლის 1–ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პრივატიზების სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ საზღვრებში უძრავი ქონების თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად აღრიცხვა–რეგისტრაცია და გამიჯვნა–გაერთიანება;

ბ) ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავ–მოძრავი ქონების განკარგვისთვის მომზადება;

გ) მუდმივმოქმედი საპრივატიზაციო (სააუქციონო) კომისიის აპარატის ფუნქციის შესრულება;

დ) ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ორგანოების, ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ან/და 50%-ზე

მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება;

ე) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ კორესპონდენციათა განხილვა;

ვ) სამსახურის გამართული მუშაობის მიზნით, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ზ) სამსახურის ყოველთვიური, კვარტალური და წლიური სტატისტიკურია მონაცემების მომზადება;

თ) საპრივატიზაციო ქონების ანალიზი და ბიზნეს - გეგმების შემუშავება;

ი) სააგენტოს უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;

კ) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება.

გ) მე–7 მუხლის მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფა და ანალიზი;

ბ) აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმების უზრუნველყოფა;

გ) სააგენტოს მიერ გასაწევი ფასიანი მომსახურების კოორდინაცია, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან;

დ) დაინტერესებული პირების შესაბამისი ინფორმაციით/მომსახურებით უზრუნველყოფა;

ე) დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;

ზ) მონაცემთა ბაზების შექმნა, დამუშავება და ანალიტიკური უზრუნველყოფა;

თ) სამსახურის პროგრამული უზრუნველყოფა;

ი) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ კორესპონდენციათა განხილვა;

კ) სამსახურის გამართული მუშაობის მიზნით, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ლ) სააგენტოს უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება.

2. დადგენილება ძალაში შედის 2010 წლის 12 ივლისს.

ქ. თბილისის მერი

გიორგი უგულავა